დანართი №1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“ (შემდგომში - „სამსახური“) მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

2. სამსახურის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

3. სამსახური თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

4. სამსახურს გააჩნია იურიდიული პირისთვის საჭირო ყველა ატრიბუტი, ბეჭედი, შტამპი, ანგარიშსწორებისა და სხვა სახის ანგარიშები სათანადო დაწესებულებებში.

5. სამსახური შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

6. სამსახურის სრული სახელწოდებაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“.

7. სამსახურის საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართია tsyaligori@gmail.com

8. სამსახურის იურიდიული მისამართია: ქ. გორი გრ.ფერაძის ქუჩა N5.

მუხლი 2. სამსახურის მიზნები და ამოცანები

1.სამსახურის მიზნები:

ა) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (გარდა ქალაქი გორისა) სასმელი წყლის სისტემების მომსახურება.

ბ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (გარდა ქალაქი გორისა) არსებული წყალარინების სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

გ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (გარდა ქალაქი გორისა) არსებული მოქმედი წყალმომარაგების სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

2.სამსახურის ამოცანები:

ა) გორის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სარწყავი წყლის ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების გამართული მუშაობა;

ბ) საავარიო სამსახურის ფუნქციონირებისათვის ადგილზე ორგანიზების გაწევა, წყალარინების, სარწყავი სისტემების ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების დაზიანებების ლიკვიდაციას.

გ) საავარიო სამსახურის ფუნქციონირებისათვის ადგილზე ორგანიზების გაწევა;

დ) მოპოვებული წყლის რეგულარული ლაბორატორიული კონტროლი და პასუხისმგებელობა მის ხარისხზე;

ე) წყალმომარაგების სისტემებში დაზიანებების ლიკვიდაცია;

ვ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (გარდა ქალაქი გორისა)წყალარინების, მელიორაციის, ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების მომსახურება.

ზ) კანონმდებლობის საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (გარდა ქალაქი გორისა) სასმელი წყლების სისტემების, წყალარინების, სარწყავი სისტემების ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების მომსახურება.

თ) ქალაქ გორში, სადგურის დასახლებაში არსებული გამწმენდი ნაგებობის მოვლა პატრონობა.

3. თავისი მიზნების განსახორციელებლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კანონით დადგენილი წესით:

ა) ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან.

ბ) ფლობს, იძენს და განკარგავს ქონებას.

გ) შეიძლება იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო სასამართლოში.

დ) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რაც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით, ატარებს დამხმარე ხასიათს. საქმიანობიდან მოგება უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების განხორციელებას.

მუხლი 3. სამსახურის ქონება

1. სამსახურის ქონებას შეადგენს წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მიზნით, მატერიალური უზრუნველყოფისათვის ყველა საჭირო ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრები და სხვა ფასეულობების ერთობლიობა, რომლებიც ასახულია ორგანიზაციის ბალანსში.

2. სამსახურის ქონება იქმნება სხვადასხვა შენატანების, პირთა შემოწირულობებისგან, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან.

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა

1.სამსახური შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

ა) ადმინისტრაციული განყოფილება

ბ) საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება

გ) წყალარინების, სარწყავი სისტემების ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების განყოფილება

დ) სასმელი წყლის სისტემების მომსახურების განყოფილება

2.სააგენტოს განყოფილებების საქმიანობას დირექტორთან კოორდინირებით წარმართავენ განყოფილების უფროსები, რომლებსაც გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სააგენტოს დირექტორი.

3.სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განისაზღვრება სამუშაო აღწერილობებით, რომელსაც ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი.

მუხლი 5.სამსახურის მართვა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გორის მუნიციპალიტეტის მერი.

3. სამსახურის დირექტორს ყავს ერთი მოადგილე რომელსაც გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამსახურის დირექტორი.

4. სამსახურის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად.

ბ) ხელს აწერს სამსახურის ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტებს.

გ) წარმოადგენს სამსახურს სხვა პირებთან ურთიერთობაში.

დ) ახორციელებს სამსახურის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას, მართლზომიერად გამოყენებასა და მოვლა-პატრონობას.

ე) გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს სამსახურის საშტატო განრიგს და შინაგანაწესს.

ვ) მერთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორის მოადგილესა და სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსებს. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სააგენტოს თანამშრომლებს.

ზ) განსაზღვრავს სამსახურის განყოფილებების ფუნქციებს და შეიმუშავებს მათ სამუშაო აღწერილობებსა და თანამდებობრივ ინსტრუქციებს.

თ) მოადგილისთვის განსაზღვრავს საკურატორო სფეროს.

ი) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებსა და კანონით აუკრძალავ სხვა ფუნქციებს

კ) პასუხისმგებელია გორის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე

ლ) მუნიციპალიტეტის მერს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს გაწეული სამუშაოების შესახებ.

5.სამსახურის დირექტორი თავისი უფლებამოსილების შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

6. სამსახურის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, სამსახურის დირექტორის მოვალეობას ასრულებს მოადგილე.

7. დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების არაჯეროვანი და არასრულფასოვანი შესრულების, უფლებამოსილების გადამეტების ან სამსახურის საწსდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია გორის მუნიციპალიტეტის მერს. ასეთ შემთხვევაში ერთი თვის ვადაში ინიშნება სამსახურის ახალი დირექტორი.

8. სამსახურში დასაქმებულ თანამშრომელთა უფლებამოსილებები განისაზღვრება წინამდებარე წესდებით, სამსახურის სამუშაო არწერილობებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და შრომის შინაგანაწესით.

მუხლი 6. რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია

1.რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია და ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მუხლი 7. სააგენტოს წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება დამფუძნებლის მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები.

მუხლი 9. დამფუძნებელი

1.სააგენტოს დამფუძნებელია გორის მუნიციპალიტეტი ს/კ 218086087.